

მოკლე აღწერა:

იზაბელა და ნათია უნივერსიტეტ აუგსბურგის სტუდენტები არიან. ისინი შეიტყობენ, რომ უნივერსიტეტში ინტერნაციონალური სტუდენტებისთვის „Podcast-პროექტი“ მიმდინარეობს. ისინი ჯერ პირველ შეხვედრას დაესწრებიან, რათა გაიგონ პროექტი კონკრეტულად რას მოიცავს. პირველი შეხვედრიდან ორივე ძალიან კმაყოფილი დაბრუნდება.

ავტორი: იზაბელა ზის თავის კომპიუტერთან და სწორედ იმას ფიქრობს, „Begleitstudium“-ის რომელ პროექტში მიიღოს მონაწილეობა. „Begleitstudium“ არის ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტისთვის, რომელთაც პროფესიასთან დაკავშირებული პრაქტიკული პროექტების გაკეთება სურთ. ასე მაგალითად სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის გაზეთთან, „პრესტიჟთან“ ითანამშრომლონ. ან თუნდაც სტუდენტურ რადიოსთან „კანალ C“ და სატელევიზიო პროგრამაში „უნი-მზერა“ მიიღონ მონაწილეობა.

იზაბელა: აბა ვნახოთ რა გვაქვს: რეკომენდაციები პირველ სემესტრზე მსწავლეობათვის, პრესტიჟი, „student.stories!...სტუდენტ სტორის“ ეს რა არის?. აჰ! ვიდეოც აქვს თანდართული!

კაროლინა: ეს პროექტი გულისხმობს ინტერნაციონალური სტუდენტებისთვის „Podcasts“-ის დამზადებას აუგსბურგის უნივერსიტეტების შესახებ. ამ აუდიო მასალებით, გვსურს უცხოელ სტუდენტებს საშუალება მივცეთ ყველა მნშვნელოვან თემებზე თავად მიიღონ ინფორმაცია და ადვილად გაართვან თავი უნივერსიტეტის სპეციფიკას. არ გვინდა ძალიან სპეციფიზირებულ თემებზე გვაკეთოთ აქცენტი, არამედ ისეთზე როგორცაა: საცხოვრებელი ბინის მოძებნა, სწავლის დაფინანსება, თუნდაც ნოსტალგია და ა.შ.

იზაბელა: ოჰ! მშვენივრად ჟღერს! ამაზე აუცილებლად ნათიას უნდა ვუამბო!

ნათია: „სტუდენტსტორის“? ეს რაღა უნდა იყოს ?

იზაბელა: ეს არის უნივერსიტეტის „Podcasts-პროექტი“. აქ ხდება აუდიო მასალების ჩაწერა უნივერსიტეტთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებზე.

ნათია: აუდიო მასალების ჩაწერა? ეს რა საჭიროა? ინერნეტით ხომ შემოძლია ინფორმაციის მოპოვება?

იზაბელა: კი რა თქმა უნდა, მაგრამ ის უფრო გსიამოვნებთ მონიტორს მიაჩერდე და მთელი ტექსტები იკითხო? თუ სავარძელში მოკალათდე და მთელი ინფორმაცია აუდიო სახით მოისმინო?

ნათია: რა თქმა უნდა მოსმენა უფრო მირჩევნია.

იზაბელა: ხედავ? სწორედ ეს არის student.stories-ის პროექტში განსაკუთრებული. რამოდენიმე Podcast-ი უკვე მოვისმინე. მხიარული ისტორიებია, მაგრამ რომ ისმენ პარალელურად ინფორმაციას იღებ გარკვეული თემის შესახებ. ინფორმაცია და დიალოგები ასე რომ ვთქვათ.

ნათია: აჰა! მშვენივრად ჟღერს!

იზაბელა: ხომ გითხარი... ამ პროექტს კარგი კიდეც ის აქვს, რომ ინტერნაციონალურია. როგორც მე მივხვდი, გერმანელი სტუდენტების გარდა უცხოელ სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. შენთვის არაჩვეულებრივია, შენი გერმანული რომ გააუმჯობესო. მაგრამ student.stories-ს პროექტში მონაწილეობა მაინც გამოგვადგება შენი გერმანულის მიუხედავად.

ნათია: მართლა? ეგ როგორ?

იზაბელა: როგორ და Podcast-ი სხვადასხვა ენაზეც უნდა ითარგმნოს. შენ მაგალითად შეგიძლია ქართულად გადათარგმნო და მერე შენს ოჯახსაც მოასმენინო...ნამდვილად გაუხარდებათ.

ნათია: მართლა! მშვენიერი იქნება... დედაჩემი სულ მეკითხება საერთოდ გერმანიაში რას ვაკეთებ... და შენ რისი იმედი გაქვს? დედაშენი ხომ ქართველი არაა?

იზაბელა: ეგ არა, მარგამ ბავშვობიდან მიზიდავს ასეთი აუდიო პროექტები. ყოველთვის მინდოდა რომ მეც მიმელო მონაწილეობა. უბრალოდ ტექნიკაში ვერ ვერკვევი. თან იქ უცხოელი სტუდენტებიც იქნებიან. მათთან კონტაქტი მე ძალიან მსიამოვნებს.

ნათია: აჰა! გასაგებია შენ ვინმეს გაცნობა უფრო გინდა ...

იზაბელა: არა! ეს არც მიგულისხმია... თუმცა კარგ იტალიურ ბიჭზე ან ესპანელზე უარს არ ვიტყვოდი.

ნათია: ვიცოდი! და კიდეც რას ვისწავლით ამ პროექტიდან, კარგი ბიჭის შებმის გარდა?

- იზაბელა: Podcast-ი როგორ უნდა გააკეთო, როგორ უნდა იმეტყველო..
- ნათია: მე ხომ უკვე გამართულად ვმეტყველებ!
- იზაბელა: კი და თან საკმაოდ ბევრს, მაგრამ ასეთი აუდიო მასალისთვის, უპირველეს ყოვლისა კარგად წერა და გამოთქმა უნდა შეგეძლოს, რომ მსმენელს მოსმენისას არ ჩაეძინოს.
- ნათია: (ხვრინვით)
- იზაბელა: ხა ხა! ძალიან სასაცილოა..
- ნათია: არა ისე მართალი ხარ.ეს პროექტი მართლაც კარგად ჟღერს. მოდი ჯერ დავესწროთ და ვნახოთ რა როგორ არის.
- იზაბელა: კარგი. მემგონი მომავალ კვირას არის ჯგუფის შეკრება. აი მანდ შეგვიძლია დავესწროთ.
- ავტორი: დამქანცველი კვირის შემდეგ, ნათია და იზაბელა მხოლოდ student.stories-ის ჯგუფთან შეხვედრალა ახარებთ. მოსულებს პროექტის ხელმძღვანელები დანიელი და კაროლინა მიესალმებიან. როგორც იზაბელა და ნათია შეიტყობენ, მომდევნო შეხვედრებზე ისინი Podcast-ის წარმოებისთვის ყველა საჭირო წესებს გაეცნობიან და შეისწავლიან. დღეს კი მხოლოდ საცდელი Podcast-ის დამზადება მოუწევთ, რისთვისაც შესაბამისი დავალება უკვე მიიღეს.
- ნათია: მოიცადე! პირველი ნაწილი ბოლოსკენ უნდა გადაწიო!
- იზაბელა: ეგ ვიცი, მაგრამ ჯერ მხოლოდ მოსმენა მინდოდა!
- ნათია: გასაგებია, მაგრამ ეს მაწილი მაინც ბოლოსკენ არის გადასაწევი.
- დანიელი: აბა! ართმევთ თავს? თუ რაიმე პრობლემაა?
- იზაბელა: პრინციპში ყველაფერი კარგად მიდის. მხოლოდ ერთ ჩანაწერში გვაქვს უცნაური ხმები და ეს ვერ მოვშალეთ.
- ნათია: იზაბელას პირის წკლაპუნის ხმებია!
- იზაბელა: არა! მე რა შუაში ვარ რარაც უცნაური ხმები ისმის აი დანიელ შენც მოისმინე (დანიელი ისმენს: „ შენ ხომ უკე დიდი ხანია student.storie-ს" პროექტში მონაწილეობ? რა მოგწონს ყველაზე მეტად ამ პროექტში?)
- იზაბელა: აი გესმის? ზუსტად ამ ორ წინადადებას შორის არის რაგაც წკლაპუნის ხმები!

- დანიელი: აჰ! ეს რა რპობლემაა. გაადიდებთ ჩანაწერს და ხმების ამ მონაკვეთს ამოჭრით.
- ნათია: ააჰ!
- ავტორი: დანიელის დახმარებით გოგონებმა სულ მცირე დროში შეძლეს მინი-Podcast-ის დამზადება. გინდათ მოსიმინოთ სრულად ეს როგორ ჟღერს?
- Podcast-ის ტონი: რატომ აირჩიე პროექტი student.stories?
- ტობიასი: მე მსიამოვნებს ინტერნაციონალურ სტუდენტებთან ერთად თანამშრომლობა. ამასგარდა ტექსტების შედგენა და ისტორიების გამოგონება ძალიან კრეატიულ მუშაობად მიმაჩნია. სტუდიაში ჩაწერის პროცესიც ძალიან საინტერესოა.
- იოჰანესი: მე იმიტომ გადავწყვიტე ამ პროექტში მონაწილეობა, რომ აუდიო პროდუქციასთან მცირეოდენი გამოცდილება უკვე მაქვს. ხოლო მათგან Podcast-ი რომ დაამზადო ჩემთვის ძალიან საინტერესო საქმიანობაა.
- თამარა: როდესაც მე აქ სწავლა დავიწყე, ძალიან რთული იყო ჩემთვის კომპიუტერთან მუშაობა, ხოლო როცა გავიგე, რომ არსებობს პროექტი სადაც გერმანელი და უცხოელი სტუდენტები ერთობლივად Podcast პროდუქციაზე მუშაობენ, გადავწყვიტე მეც მიმეღო მონაწილეობა.
- ირინა: ყველაზე მეტად რა მოგწონს ამ პროექტში?
- ტომასი: ის რომ ტექსტები და ისტორიები უნდა მოვიფიქროთ, რომელთაც სტუდიაში ჩავწერთ და შემდეგ ჩანაწერებს ასევე ჩვენ თვითონ ვამუშავებთ. ასე რომ არა მხოლოდ ერთ კონკრეტულს, არამედ სხვადასხვა ასპექტს ეცნობი.
- იოჰანესი: გასაკუთრბილას კიდევ ის მხიბლავს, რომ მხოლოდ ინფორმაციების შეგროვება კი არა, არამედ ამ ინფორმაციებით კრეატიული ისტორიების გამოგონება გვიწევს.
- თამარა: და რომ ყველა ერთმანეთს ეხმარება.
- ავტორი: აბა! შენც გაქვს სურვილი student.storie-ის პროექტის წევრი გახდე? მაშინ გვეწვით შეხვედრებზე ან გაეცანი ინფორმაციას ჩვენს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.studentstories.de!

student.stories - ათასი შეკითხვა?- ერთი პოკასტი!!!

ავტორები:
რომან ლინზენკირხერი და ირინა ლუზენკო